ნათია ფირცხალავა

არგუმენტაცია არგუმენტის შექმნის გზები და სტრატეგიები

პროექტის აღწერა

“არგუმენტაცია - არგუმენტის შექმნის გზები და სტრატეგიები” მეთოდური სახელმძღვანელოა, რომელშიც მოცემულია თეორიული მასალა და პრაქტიკული სავარჯიშოები. ნაშრომი განკუთვნი-ლია აუდიტორიის ფართო სპექტრისათვის - მასწავლებლებისა თუ ლექტორებისათვის, მოსწავლეებისა თუ სტუდენტებისათვის.
წიგნში მოცემული მეთოდიკა დაეხმარება მასწავლებლებს განავითარონ მოსწავლეებში სხვადასხვა უნარ-ჩვევები - არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, ლოგიკური კავშირების მოძებნა და ანალიზი, საკუთარი პოზიციის წარმოჩენისა და ოპონენტის შეცდომების აღქმის უნარი, დებატების, დისკუსიების, პრეზენტაციების, კითხვის დასმის სტრატეგიები.
ნაშრომის მიზანია დაეხმაროს მკითხველს ლოგიკურად სწორად ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, შეისწა-ვლოს კამათის მართვის მეთოდები და შეძლოს მიღებული ცოდნის ეფექტურად გამოყენება ცხოვრებაში.
ნაშრომი მომზადებულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრაზე.